ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №30 / ჯავჯავაძის ქუჩა №1 გრიბოედოვის ქუჩა №19 / ჯავჯავაძის ქუჩა №1 განთავსებული ნაგებობების ადრე დამტკიცებული სარეაბილიტაციო პროექტის კორექტირების შესახებ

დასკვნა



ხედი რუსთაველის გამზირიდან, 07. 2023 წ.



ხედი გრიბოედოვის ქუჩიდან, 07. 2023 წ.



შესრულებული
სახელოვნებათმცოდნე,
ისტორიულ-არქიტექტურული
კვლევების, ისტორიულ-
არქიტექტურული ანალიტიკური
ანალიზის
და ობიექტზე ჩატარებული
სარესტავრაციო სამუშაოების
საფუძველზე

დამკვეთი:
შ.პ.ს. "რუსთაველი პროფერთი"

შემსრულებელი:
არქიტექტორ-
რესტავრატორი
ალა პროზოროვა

თბილისი, 2023

საკვლევი ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილების – „მთაწმინდის“ და „გარეთუბნის" უბნების საზღვარზე და შემოფარგლულია **ალ. გრიბოედოვის, ალ. ჭავჭავაძის ქუჩებით** და **შოთა რუსთაველის გამზირით.** ეს არის ცალ-ცალკე აგებული ორი ნაგებობა, რომლებიც თავისი სტრუქტურით ქმნიან საერთო ეზოს. თითოეულ ნაგებობას დამოუკიდებელი მისამართი აქვს: ზედა შენობა – **ალ. გრიბოედოვის ქ. №19/ალ. ჭავჭავაძის ქ. №1**, ქვედა ნაგებობა – **შ. რუსთაველის გამზირის №30/ალ. ჭავჭავაძის ქ. №1**. ორივე შენობა შედის თბილისის კულტურული მემკვიდრეობისუძრავი ძეგლების ნუსხაში.

დამუშავებული და დამტკიცებული სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტის მიხედვით 2015 წლიდან ობიექტზე დაწყებული იყო ჯერ სადემონტაჟო, მერე სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამის შემდეგ ობიექტური მიზეზის გამო გამაგრება-აღსადგენი და სარესტავრაციო სამუშაოები პერიოდულად იყო გაჩერებული. ამჟამად ობიექტზე აქტიურად მიმდინარეობს საამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოები, მათ შორის ხდება ორივე შენობების სამივე ქუჩის მხრიდან საპარადო ფასადის არქიტექტურული დეკორატიული დეტალების და ელემენტების აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამუშეოების ჩატარების მთელი პერიოდის განმავლობაში, არქიტექტორ-რესტავრატორის მიერ ტარდება სარესტავრაციო სამუშაოების ზედამხედველობა (ანგარიშგების ჩაბარებით).



ხედი რუსთაველის გამზირიდან, ფოტო 07. 2023 წ.

აღდგენითი სამუშაოების გარდა, დამტკიცებული პროექტის მიხედვით ობიექტზე მიმდინარეობს ახალი მოცულობების (დამატებითი სართულების) „დაშენება“. პროექტში გათვალისწინებული იყო ძველი, „საპარადო“ კედლების ნაწილობრივი შენახვა-გამაგრება, დანარჩენი საპროექტო შენობის ნაწილები კი მთლიანად ახალი შენდება, საჭირო ადგილებში ძველებური დეტალებით „მოპირკეთების“ მეთოდით. მშენებლობის პერიოდში ასევე ობიექტური მიზეზების გამო შეცვლილი იქნა ზოგიერთი ზომები ან ნიშნულები. მათ შორის – გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან ბოლო სართულზე გადახურული საცურაო აუზის მოცულობის ზედა ნიშნულის გაზრდა (2,05 მ.)



დამტკიცებული პროექტი დახურული საცურაო აუზის მოცულობა კორექტირებული პროექტი

ადრე შესრულებული სახელოვნებათმცოდნე, ისტორიულ-არქიტექტურულ კვლევებში და უბნის ისტორიულ-არქიტექტურულ ანალიტიკურ დასკვნებში აღწერილი იყო ისტორიული უბნის (რომელშიც განლაგებული საპროექტო ობიექტი), ტრადიციები და ურბანული ტენდენციები არქიტექტურული მოდური ცვალებადი მიმართულებების შესახებ. მათ შორის მოცულობების „საფეხუროვანი ასვლა“ ქუჩების ციცაბო რელიეფის აღმართთან („ასვლასთან“) ერთად მთაწმინდის მიმართულებით. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ახლოს განლაგებული თვალსაჩინო შენობების არსებული ტენდენცია, როცა ძირათადი, „საპარადო“ მოცულობისაგან განსხვავებით, საკმაოდ „ამაღლებული“ დამატებითი მოცულობები, შეწეულია შიგნით, „უკანა ფასადებთან“ (იხ. „მერანის“ და ოპერის შენობების ფოტოსურათები). აღნიშნულ ობიექტზე სიტუაცია იგივეა.



რუსთაველის გამზირის განშლა, შენობების საპარადო მოცულობის სიმაღლეების მიხედვით (უკანა, შეწეული, მოცულობების გარდა)



რუსთაველის გამზირი, „მერანის“ შენობა (ყოფილი „Заря Востока”-ს შენობა, ფოტო 2023 წ.

რუსთაველის გამზირი, ოპერის და ბალეტის შენობა, ფოტო 2023 წ.



დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ობიექტის ზედა მოცულობის (გადახურული საცურაო აუზის) ახალი, გაზრდილი ნიშნულის ფაქტი არანაირად არ ცვლის ვიზუალურ სიტუაციას უბანში, დამტკიცებულ პროექტთან შედარებით.

და რაც ყველაზე მთავარია – აღნიშნული ობიექტის ძირითადი მოცულობების საპარადო ფასადებისთვის, რომელებიც აღდგენილი იქნება თავდაპირველი, ისტორიული სახით (სწორად ამ ფასადების მიხედვით შევიდა ეს ორი შენობა თბილისის კულტურის მემკვიდროების ნუსხაში), ზედა მოცულობის, გადახურული საცურაო აუზის გაზრდილი ნიშნული არანაირ როლს არ თამაშობს



ობიექტის საერთო ხედვისთვის, ასევე დამტკიცებულ პროექტთან შედარებით არანაირად არ ცვლის ესთეტიკურ და ვიზუალურ თვალსაწიერ სიტუაციას გარე მაყურებლებისთვის.

არქიტექტორ-რესტავრატორი
ალა პროზოროვა
07. 2023 წ

allaprozorova@yahoo.com
+ 995599968130



დამტკიცებული პროექტი



კორექტირებული პროექტი

ხედი რუსთაველის გამზირიდან, ფოტო 2023 წ.





ფასადი გრიბოედოვის ქუჩიდან,
კორექტირებული პროექტი, 2023 წ.



დამტკიცებული პროექტი



კორექტირებული პროექტი

ხედი გრიბოედოვის ქუჩიდან, ფოტო 2023 წ.





ფასადი ჭავჭავაძის ქუჩიდან ქუჩიდან, კორექტირებული პროექტი, 2023 წ.